ცნობის ფურცელი

№ 2080 ოთხშაბათი, 26 თებერვალი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2080

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе"**. ტელეფონი № 372.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ზანდუკელისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელი მეუღლის

სოლომონ ზაქარიას ძის ზანდუკელისას

ქ. დუშეთში, 24 თებერვალს. პანაშვიდები დილით და სალამოთი. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 27 თებერვალს, ქ. დუშეთს. (1—1)

წარმოდგენა 39. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 27 თებერვალს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

I

ორი დარაჯი

მელოდრ. 3 მოქმედ. იტალიურიდან გადმოთარგმ. ფ. ქორიძის მიერ.

II

თავვის ბრალია

ვოდევ. 1 მოქმედ. ფრანგულიდან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ელ. კარგარეთელი, ო. ლეჟავა, ბ. რიონელი; ბ-ნნი: გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, იმედაშვილი და სხვ.

ადგილების ფასები: ლოჟები 3 მან. 8 მანეთამდე, პარტერი 50 კ დან 2.-მ-მდე, ამფითეატრი 60 კ-დან 1 მ.-მდე, გალერეია 20 კ-დან 35 კ მდე. შეგირდებისთვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ნორა", „ოტელო", „ყაჩაღები". რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ზოდიშანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდე (ქირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ. 11½—12½.

დ. ა. ზოდიშანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

პრ. მ. ხოზოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნასარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევის და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

ხონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წლიური კრება არის დანიშნული კვირას, 16 მარტს, დილის 10 საათზე, საქალაქო სასწავლებლის დარბაზში.

საგანი კრებისა:

1) განხილვა და დამტკიცება 1902 წლის ანგარიშისა; 2) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა, საბჭოს სამის წევრისა და სამის სარევიზიო კომისიისა მათის კანდიდატებით; 3) დამტკიცება 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. ანგარიში იხილე მეოთხე გვერდზე. (ნ. 2—1)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო სალამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და სალამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 612**

საკითხი დედა-ენის შესახებ სასოფლო-სამეურნეო კომიტეტებში

სხვა მრავალ საკითხთა შორის, სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტებში დედა-ენის მნიშვნელობის საკითხსაც მიექცა ყურადღება. რუსეთის იმპერიაში, რომლის ქვეშევრდომნი მრავალ სხვა-და-სხვა ენებზე ლაპარაკობენ, ასეთის საკითხის აღძვრა სრულიად კანონიერი და ბუნებრივი მოვლენაა; სამწუხარო აქ მხოლოდ ისაა, რომ საკითხი ჯეროვანის ყურადღებით არ იქმნა განხილული და დედა-ენის მნიშვნელობა ყოველმხრივ არ იქმნა დაფასებული.

სხვა-და-სხვა ერისთვის ამ საკითხის ორი მხარეა საინტერესო და საყურადღებო: დედა-ენა სკოლაში და დედა-ენა ადგილობრივ მმართველობა-სასამართლოში. არც ერთი და არც მეორე ნაწილი ამ საკითხისა ოფიციალურს პროგრამაში არ ყოფილა, მაგრამ ერთიცა და მეორეც იქმნა აღძრული აქაც, რუსეთის განაპირა მხარეების კომიტეტებში.

ოფიციალურის პროგრამის ერთ-ერთი მუხლი თხოულობდა იმ ღონისძიებათა აღნიშვნას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ სასოფლო-სამეურნეო ცოდნათა ხალხში გავრცელებას. ამ მუხლით ისარგებლა ზოგიერთმა კომიტეტმა და წამოაყენა საკითხი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ სახალხო სკოლაში. ამ საკითხს ყველაზედ მეტი ყურადღება ჩვენში მიაქციეს. კავკასიის საურნეო საზოგადოება, ქუთაისისა და ტფილისის საგუბერნიო კომიტეტები, ადგილობრივი პრესსა—ყველანი გულმოდგინედ ეკიდნენ ჩვენთვის ამ საჭირ-ბოროტო საკითხს და თითქმის ერთხმადა და ერთნაირად აღიარეს მისი დიდი მნიშვნელობა. ჩვენ ახლა არ შევჩერდებით იმის განხილვაზე, თუ სახელდობრ, რა გამოირკვა და რა დასკვნას დაადგნენ ამ საკითხის განხილვის დროს,—ამაზე უკვე ბევრი დაიწერა ჩვენს გაზეთში,—ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: ყველამ ჩვენში დასკვნეს, რომ დღევანდელი სოფლო სკოლა მეტად ცუდ მდგომარეობაშია და თავის საქმეს ვერ ასრულებს; ამის ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ პირველ დაწყებითი სწავლა ადგილობრივ მკვიდრთა შვილებისა უცხო ენაზე სწარმოებს; ეს ანტი-პედაგოგიური მოვლენაა და, თუ გვინდა, რომ სკოლამ სარგებლობა მოუტანოს ხალხს, საჭიროა დედა-ენის უფლება იქმნას აღიარებული და გაფართოვებული; უამისოდ სკოლა ვერც საზოგადო და ვერც სასოფლო-სამეურნეო ცოდნას ვერ გაავრცელებს ხალხში. ამ დასკვნის მიხედვით გარდაწყდა სხვა-და სხვა შუამდგომლობათა აღძვრის საჭიროებაც.

აღსანიშნავია, რომ სახალხო სკოლაში დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ სჯა ბაასი ჰქონიათ რუსეთის სხვა განაპირა ადგილებშიაც. ლიტვაში, შაველის სამაზრო კომიტეტს აღუძრავს ეს საკითხი და, გაზეთების სიტყვით, დაუდგენია: ლიტვას სახალხო სკოლაში სწავლება ლიტვურ ენაზე უნდა სწარმოებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახალხო სკოლა ვერ შესძლებს ვერავითარ ცოდნის გავრცელებას. საყურადღებოა ის გარემოება, რომ, როგორც ჩვენში, ისე იქაც, ამ საკითხის აღძვრის ინიციატორებთა შორის რუსები იყვნენ და მათგან ბევრმა ენერგიულად მხარი დაუჭირა ხსენებულს დადგენილებას. ამას ყურადღებას აქცევს ჟურნალი „ვესტნიკ ევროპი" და სამართლიანად ამბობს: „რომ ეს დადგენილება პოლიტიკურ-ტენდენციური არ არის და ლიტველთა სეპარატიზმი აქ არაფერ შუაშია, ამას ისიც ამტკიცებს, რომ კომიტეტის თავმჯდომარედ იყო მომრიგებელი შუამავალი ჩეპიშნიკოვი, ხოლო წევრებად ორი გრაფი ზუბოვები, ოლსუფიევი, მომრიგებელი მოსამართლე ჩისტიაკოვი და სხვა რუსი მოხელე და მემამულენი". ჩვენშიაც საკითხის დამყენებელთა და მოსარჩლეთა შორის რუსები იყვნენ: ბ. ბ. სულტან-კრიმ-გირეი, სტაროსელსკი, ტიმოფეევი და ბევრი სხვა, სამოსწავლო უწყების წარმომადგენლის, ბ. პერევოზნიკოვის გარდა, რომელსაც ადგილობრივ რუსულს პრესსაში მხარი მხოლოდ პალმის „ჩერნომ. ვესტნიკ"-მა დაუჭირა... დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ, პირველ დაწყებით სკოლაში, ლიფლიანდიის საგუბერნიო კომიტეტშიაც იყო ლაპარაკი და აღმოსავლეთ ევროპიულ რუსეთის ზოგიერთ ალაგასაც.

ასეთი ერთსულოვნება ამ საკითხში ყველაფერზედ უკეთესად ამტკიცებს, რამდენად დიდმნიშვნელოვანია იგი და როგორ საჭიროა დროზედ მისი გარდაწყვეტა. თვით სახელმწიფო ენის გავრცელების ინტერესი მოითხოვს დედა-ენის უფლების აღიარებასა და გაფართოვებას. უამისოდ სახალხო სკოლა არა რუსთა შორის ვერ იხეირებს და მთავრობის ცდაც—ადადგინოს ამ ადგილებში ეკონომიურად დაცემული ხალხი,—უნაყოფოდ ჩაივლის. ეს დასკვნა ნათლად დამტკიცდა ყველა აღნიშნულ კომიტეტსა და საზოგადოებაში; ახლა-კი ვუცადოთ, რას იტყვის ამის შესახებ თვით განსაკუთრებული უმაღლესად დამტკიცებული საბჭო, რომელსაც წარედგინა ადგილობრივ კომიტეტებისა და სამეურნეო საზოგადოებათა დადგენილება-შუამდგომლობანი.

სამწუხაროდ, ამ საკითხის მეორე მხარეს გაცილებით უფრო ნაკლები ყურადღება მიექცა. რა როლი უნდა ეკუთვნოდეს სამშობლო ენას ადგილობრივ მართვა-გამგეობის საქმეში—ეს ნაკლების მნიშვნელობის საკითხი არ არის განაპირა ქვეყნისათვის, და დაწესებულებათ, რომელთაც უმაღლესი მთავრობა დაეკითხა ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ, უთუოდ უნდა გამოეთქვათ მის შესახებ თავისი აზრი. განა ათასგვარი მოუწყობლობა და ბოროტება ადგილობრივ საქმეში იმის ბრალი არ არის, რომ მმართველთა და ხალხს ერთმანეთის არა გაეგებათრა?!.

რამდენადაც ვიცით ჯერ-ჯერობით, ეს საკითხი მხოლოდ ლიფლიანდიის საგუბერნიო კომიტეტში აღიძრა. იქ ერთმა სექციამ წარადგინა მოხსენება იმის შესახებ, რომ საჭიროა ლიფლიანდიაში ადმინისტრაციისა და სასამართლოს მოხელეთ ორივე ადგილობრივი ენა იცოდნენ,—ლატიშთა და ესტონელთა ენებით. როგორც „ვესტნიკ ევრ." გადმოგვცემს, კომიტეტის თავმჯდომარემ, ლიფლიანდიის გუბერნატორმა, ამის გამო თურმე განაცხადა: „ადმინისტრაციის მოხელეებმა უნდა იცოდნენ ადგილობრივი ენები, მაგრამ იუსტიციის სამინისტრომ სად მოსძებნოს კანდიდატები, რომელთაც ორივე ენა იცოდნენო?" აქედან სჩანს, რომ არც ადმინისტრაციის უმაღლესი წარმომადგენელი, არც კომიტეტი პრინციპიალურად წინააღმდეგნი არა ყოფილან სექციის წინადადებისა, მაგრამ ძნელად მიუჩნევიათ მისი განხორციელება. პატივცემული ჟურნალი ამის გამო სამართლიანად შენიშნავს: ადგილობრივ ენების ცოდნა ადმინისტრატორისა და მოსამართლისათვის იმდენად საჭიროა, რომ აღნიშნულს პრაქტიკულს მოსაზრებას არ უნდა შევუშინდეთო; საკმარისია მთავრობამ მოსთხოვოს ოსტზეის მხარეში სამსახურის მსურველთ ადგილობრივ ენების ცოდნა და ასეთი მცოდნენი მაშინვე გამოჩნდებიანო.—ადგილობრივ სამმართველო და სასამართლო საქმეების მოსაწესრიგებლად და, საზოგადოთ, ადგილობრივ ცხოვრების გასაუმჯობესებლად საუკეთესო ღონისძიება იქნება ადგილობრივ ენების უფლების აღიარება და ადგილობრივ დაწესებულებებში მათი თავისუფალი ხმარება; ამისათვის-კი საჭიროა სახელმწიფო მოხელეთ ეს ენები იცოდნენ. ეს ცხადი ჭეშმარიტებაა და სამწუხაროა, რომ ამის გამო სხვა განაპირა ქვეყნების კომიტეტებმაც არ ამოიღეს ხმა.

საზღვარ-გარედ

ოსმალეთი. მაკედონიის ფინანსები ამას იქით ოტომანთა ბანკმა უნდა განაგოს, ამიტომ ეს ბანკი ეხლა შესაფერ წესდებას ადგენს ამ საქმისათვის. დიდ სახელმწიფოების ელჩებიც წესდებას ადგენენ თავიანთ კონსულებისათვის, თუ როგორ უნდა უგდონ ყური მაკედონიის რეფორმების ასრულებას.

◆ იტალიური გაზ. „კარიერა დელა სერა" იუწყება: თუ საქმის ვითარებამ მოითხოვა და სხვა სახელმწიფოები საჭიროდ დაინახვენ ოსმალეთს ძალა დაატანონ რეფორმების გულისათვის, იტალია მაინც არ გაერევა ამ საქმეში; ამ საქმეს ოსმალეთის მეზობელ სახელმწიფოებს დაუთმობს; ესენი უფრო ადვილად მოახერხებენ ოსმალეთში ჯარების მიყვანას. მაგრამ, თუ ვინიცობაა ავსტრიამ რაიმე ადგილი დაიჭირა ოსმალეთში, გინდ ახალ-ბაზრის ოლქი იყოს, გინდ სხვა რამ ადგილი იყოს, მაშინ იტალია უსათუოდ თავისთვისაც მოითხოვს რამე ადგილსაო.

საფრანგეთი. ამ დღეებში პარიზში სენის დეპარტამენტის სოციალისტთა ფედერაციის კრება მოხდა. კრებამ დაადგინა, მინისტრად ნამყოფს მილიერანს განმარტება მოვსთხოვოთ იმის თაობაზე, რომ ბროშიურის—„სახელმძღვანელო ჯარის-კაცებისათვის"—აღკრძალვა მოითხოვა და დეპუტატთა პალატაში ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების წინააღმდეგი იყოო. მეორე დღეს კრებაზე თითონ მილიერანიც მოვიდა. მილიერანმა სთქვა: „სახელმძღვანელო ჯარის-კაცებისათვის" ანარქისტული პამფლეტია და ახალ ჯარის-კაცებს აჯანყებას ურჩევდაო. პალატაში ეკკლესიის სახელმწიფოსა-

გან განცალკევების წინააღმდეგ იმიტომ ჩავაგდე კენჭი, რომ ამ რეფორმის შესრულება შეუძლებლად მიმაჩნია ამ ჟამადაო. მილიერანის განმარტების შემდეგ, კრებამ 75 ხმის უმეტესობით 55 ხმის წინააღმდეგ, მილიერანს გაკიცხვა გამოუცხადა. მილიერანმა სთქვა ამის შემდეგ: სოციალისტების პარტიის კრებასთან ვიჩივლებ თქვენის დადგენილების თაობაზე; ეს კრება სააღდგომოდ ბორდოში შეიკრიბება და სოციალისტების ყველა ფედერაციების წარმომადგენელნი იქმნებიან და არა მარტო სენისაო.

ინგლისი. ლონდონში საქალაქო საბჭოს შენობაში 14 თებერვალს კრება მოუხდენიათ უსაქმობის თაობაზე. კრებაზე მთელის ინგლისის ადგილობრივ მმართველობათა წარმომადგენელნი ყოფილან. დეპუტატთა პალატის წევრმა როლიტმა სიტყვა წარმოსთქვა უსაქმობის თაობაზე და დაუმატა, უსაქმობას მარტო პალიატივურ, წვრიმალ ღონისძიებით კი არა, რადიკალურ ღონისძიებითაც უნდა ვებრძოლოთო. პალიატივებად როლიტი სთვლის სამუშე ბიუროების დაარსებას, უცხოელ მუშების ინგლისში დასახლების აღკრძალვას და საზოგადო საქმეების მოწყობას. რადიკალურ ღონისძიებად როლიტი მუშა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას სთვლის. ეს გაუმჯობესება ადგილობრივმა მოხელეებმა და ორგანიზაციებმა უნდა იკისრონო. ამის შემდეგ კრებამ რეზოლიუცია დაადგინა: უსაქმო მუშებს საქმე ადგილობრივმა მოხელეებმა და მთავრობამ საერთოდ უნდა გაუჩინონო და მთავრობასა და მოხელეებს დავავალოთ, რომ უსაქმობის წინააღმდეგ ყოველთვის ღონისძიება მიიღონ ხოლმე; ამის თაობაზე კანონ-პროექტი უნდა შევადგინოთ და პარლამენტში შევიტანოთო.

შვეიცარია. კავშირის საბჭომ 1902 წ. 19 თებერვალს ფრანგ ბერების კონგრეგაციებს და ორდენებს შვეიცარიაში ყოფნა აუკრძალა და სამის თვის ვადა დანიშნა, რომ ბერები წასასვლელად მომზადებულიყვნენ. კონგრეგაციების უმეტესობამ ხსენებულ დადგენილების გაუქმება სთხოვეს საბჭოს, ზოგმა კიდე ვადის მომატება. კავშირის საბჭო დაჰპირდა კონგრეგაციებს, ვიდრე ახალ განკარგულებას მოვახდენდეთ, 19 აგვისტოს დადგენილების აღსრულებას არ მოვითხოვთო. ლიუცერნის გაზ. „ფატერლანდ"-ი იუწყება: საბჭო არ შეასრულებს კონგრეგაციების თხოვნას, მაგრამ ვადას კი მოუმატებსო.

ბელგია. მაკედონიის საზოგადოებამ ამასწინად ბრიუსელში დიდი კრება მოახდინა და პროტესტი გამოაცხადა ოსმალეთის წინააღმდეგ: მეტად მხეცურად ექცევა მაკედონიასა და სომხეთსაო. ბელგიის პარლამენტის დეპუტატმა, სოციალისტმა ვანდერველდემ კრებას მაკედონიის საქმის ისტორია გაახსენა და 1895—1896 წ. მომხდარი სომხების ამოწყვეტა და მაკედონიის ეხლანდელი ამბები უამბო. ვანდერველდეს აზრით, ყველანი თავიანთ წმინდა მოვალეობად უნდა სთვლიდნენ საზოგადოებას ამ ამბების საზიზღრობა გააგებინონ და ევროპის მთავრობებს ძალა დაატანონ, რომ ხონთქარს პასუხის გება მოსთხოვონ ამ საზარელ ამბებისათვის. ლიბერალურ პარტიის დეპუტატმა ლორანმაც ამნაირადვე ილაპარაკა და დაუმატა: სან-სტეფანოსა და ბერლინის ხელშეკრულების ასრულება უნდა მოსთხოვონ ხონთქარსაო. კრებამაც ამნაირის შინაარსის რეზოლიუცია დაადგინა.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 26 თებერვალს, ტფილისის ქალაქის საბჭოს კრებას განსახილველი აქვს სულ 14 საქმე. ახალ საქმეთაგან საბჭომ უნდა განიხილოს მოხსენება გამგეობისა, ვის ჩაბარდეს ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის გამგეობა. დანიშნულია არჩევანი ნ. ზუბალაშვილის ანდერძის განმახორციელებელ კომისიის წევრებისა, შუამდგომლობა ბავშვთა მზრუნველ საზოგადოებისა, ვერის ხიდთან ადგილი დაეთმოს უფასოდ და სხვ.

◆ ტფ. ახალ საბჭოს დღემდე 18 კომისია აურჩევია ჯერ-ჯერობით. ქალაქის გამგეობაში ცნობები შეუკრებიათ, რომელი ხმოსანი რამდენ კომისიაშია არჩეული. ოთხ კომისიაში არჩეულნი არიან ხმოსანნი: ბაბოვი ა. ს., გრიქუროვი ნ. ა., ყარა-მურზა ნ. მ., სულხანიშვილი ი. ა., ტიგრანოვი ლ. თ., ხატისოვი ა. ი. და ხუდადოვი ნ. ა.; სამს კომისიაში: ალიხანოვი ი. მ., ბაღდასაროვი ა. ს., ვაწაძე ს. ი., ევანგულოვი ა. ბ., კაზაკოვი ა. ნ., ლენჩევსკი ა. მ. ქანანოვი მ. ზ. ქიუჩარიანცი ლ. ა., სარაჯიშვილი ვ. ა., სვეჩნიკოვი მ. ი., სოსინი მ. ლ., თამამშევი ნ. ი., ფლორენსკი ა. ი. და შაჰბუდაღოვი გ. გ.

დანარჩენი ცნობები ჯერ არა აქვს გამგეობას შეკრებილი, მაგრამ იმ ხმოსნების ცნობები-კი არის, რომელნიც არც ერთ კომისიაში არ არიან ჯერ არჩეულნი. ესენი არიან: ანდრეევი, არღუთინსკი-დოლგორუკოვი თავ. ა. მ., არღ-დოლგ. თავ. ნ. ვ., ახუნდოვი რაჰიმ-ბეგი, ბებუთოვი თავ. ა. ი., ბებუთოვი თავ. ი. მ., ჰეინე ფ. კ., გონიევი კ. ა., ევანგულოვი ლ. გ., მელიქ-კარაკოზოვი, მილოვი ა. ი., ოსტროგორსკი ნ. ნ., ფრიდონოვი ა. თ., ფსარევი ი. ი., ფურცელაძე ა. ნ., ტერ-ასატუროვი გ. მ. და ჩოლოყაშვილი თავ. ა. ზ., სულ 17 კაცი.

◆ ხმოსანს ნ. ი. თამამშევს ორი განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში: შეუძლებელია ქალაქის ბეითალმა ერთსა და იმავე დროს ქალაქის სამსახური მოასწროს და სხვა თანამდებობაც აასრულოსო. მეორეც: რა მიზეზია ქალაქის გამგეობა ამდენი ხანია ხორცის დუქანს არა ჰხსნის ვერაზე, სადაც მცხოვრებლები მოუთმენლად მოელიან ამ დუქნის გაღებასაო.

◆ რადგან გაზაფხულზე წყალ-დიდობას მოელიან მტკვარზე, ქალაქის გამგეობა თადარიგს იჭერს ამ თავითვე და გაჭირვების დროს დახმარების აღმოსაჩენად ეხლავე შეიძინა ქალაქმა: კიდევ 6 ნავი, ჩანგლები, სხვა-და-სხვა იარაღი, 4 დიდი შუშხუნა, 12 პატარა და 30 ფანარი. ამას გარდა რიყის ქუჩისაკენ მტკვრიდან მიმავალ ქუჩებში რკინის რგოლები უნდა მიაკრან სახლის კედლებს და ზედ უნდა გამოაბან პრობკის ფურთებიანი თოკები. 18 კაცი მცურავი დაუქირავებია ქალაქის გამგეობას, რომ წყალ-დიდობის დროს დახმარება აღმოუჩინონ სახლებიდან ავეჯეულის გამოსატანად, თუ მცხოვრებთა გადმოსაყვანად. ცალკე სახლიც დაუქირავებიათ სახლებიდან გამოყვანილთა დროებით დასაბინავებლად.

◆ სასულიერო მთავრობას განუზრახავს 12 ახალი სამრევლო სკოლა დააწესოს ჩვენს მხარეში იქ, სადაც რუსები არიან დასახლებულნი, და 18 სამრევლო-საეკლესიო სკოლაც დააარსოს. ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს ამ უკანასკნელ ხანებში 12 ახალი სკოლა დაუარსებია რუსებით დასახლებულ სოფლებში, საერთოდ-კი წასრულ წელს ამ საეპარქიოში დაუარსებია საბჭოს 70-ზე მეტი საეკლესიო სკოლა.

◆ ქალაქის გამგეობის წევრს ნ. პ. კოჩაევს განუცხადებია გამგეობისათვის, რომ გამგეობაში მოსამსახურეთ საღამოობით მუშაობისთვის ცალკე სასყიდელი სრულებით არ ეკუთვნით, რადგან ასეთი წესი არც ერთ სხვა დაწესებულებაში არ არისო.

◆ გაზ. „კავკაზ"-ი სწერს: რკინის გზაზე მემანქანედ ყოფილს ქვლივიძეს ტფ. გუბერნატორისათვის უთხოვნია, ნება მომეცით, ტფილისსა და საგარეჯოს შუა (50 ვერსტია) ავტომობილით მიმოსვლა გავმართოო.

◆ ეშმაძინის მაზრაში არსებობს გაგარშაპატის მცხოვრებთა დამხმარებელი საზოგადოება. ამ საზოგადოების გამგეობამ მიჰმართა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა ჩვენის საწყობისათვის სამეურნეო იარაღი გამოგვიგზავნეთ ხალხში გასავრცელებლადაო, ამასთან სთხოვს შეღავათიანის პირობებით დაუთმონ იარაღი.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი ანგარიში: „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სასარგებლოდ 1902 წ. 21 დეკემბერს გამართულ კონცერტიდან შემოვიდა: ბილეთების 1068 მან., პრემიების 101 მან., პროგრამების და წმ. ნინოს სურათების 74 მან. 40 კაპ., სულ 1243 მან. 40 კ. დაიხარჯა: ხალის ქირა არტისტ. საზოგადოებაში 200 მან., გარდერობის 60 მ., საბილეთო მარკებისა 42 მან. 50 კ., როიალის გადატანა 16 მან., არტისტებს 81 მან., აკომპანიატორებს 40 მან., ხოროს 42 მან., მუსიკა—40 მან., ზურნა 12 მან., კარეტა—13 მან., ბილეთების დაბეჭდვის და პროგრამის უფლების და ქაღალდისა 13 მან. 10 კ., მსახურებს და ბიჭებს 24 მან. 60 კ., სხვა-და-სხვა წვრილმანი 54 მან. 40 კ., სულ 638—40. დარჩა წმინდა მოგება 604 მან., 80 კაპ.

„წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის კონცერტის გამგებელ დიასახლისებს კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას და ქ. ეკატერინე ივანეს ასულს სარაჯიშვილისას; ქ. მარიამ ზაქარიას ასულს გაბაშვილისას მხნე დახმარებისათვის; კონცერტში მონაწილეობისათვის: ე. ელ. ჩერქეზიშვილისას, ქ. ბ. ა. ზაზაიანისას, ბბ. ნ. დ. ნიკოლაევს, ე. გ. ბროჯის, ე. გ. ვილშაუს, ა. ი. პოლივკას, თ. აკაკი წერეთელს და პ. ფილიაშვილს; პრემიების შემოწირვისათვის: კნ. მარიამ ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანისას, კნ. მარ. სოლ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისას, ქ. მარ. კოს. ზუბალაშვილისას, ქ. ს. მ. აზარევისას, ბ. პეტრე კ. ზუბალაშვილს, თ. ზაქარია ერისთავს, ბ. ნიკ. ბ. ლოლაბერიძეს, თ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს, გენერალს საგინაშვილს, ბ. [illegible] შესტაკოვს, თ. როსტომ ამირაჯიბს, თ. ილია ბეგთაბეგიშვილს, ბ. ა. ენფიანჯიანცს და ბ. ი. ალიხანოვს; ქართველთა გამომცემელ ამხანაგობას პროგრამების და აფიშების უფასოდ დაბეჭდვისათვის და ქართულ გაზეთების რედაქციებს განცხადებათა უფასოდ დაბეჭდვისათვის.

◆ როგორც სადგურ ხაშურიდან გვატყობინებენ, 18 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, რკინის გზის ლიანდაგზე მისულა მარხილით მეეტლე რაჭის მაზრის მცხოვრები მარკოზ მესხიშვილი, რომლისთვისაც მოუსწრია მატარებელს და ზედ გზაზე გაუსრესია.

◆ ტფილისის საბჭოს იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქში წყალზე არსებულ ტარიფის გადათვალიერება, არჩეულ იქმნა ინჟინერი [illegible] გ. კარაკოზოვი.

◆ ტფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის კამერა 1-ლ მარტს გრიბოედოვის ქუჩიდან ახალს ბინაზე გადადის კირპიჩნი ქუჩაზე, სუმბათოვის სახლში, ვერაზე.

◆ 19 თებერვალს, ერევნის მოედნიდან კუკიის ხიდისკენ მიმავალ ცხენის რკინის გზის ვაგონში მჯდარა ქუთაისის მცხოვრები მიხეილ მოშიაშვილი თავის ძმასთან მოსე მოშიაშვილთან ერთად. ამ უკანასკნელს თან ჰქონია პატარა კალათით 17 გირვანქა ვერცხლის ზოდები და სხვა ნივთები, სულ 300 მანეთისა. მოშიაშვილისთვის ვიღაცას მოუპარავს ეს კალათი. პოლიციას დაუჭერია ქურდები. ესენი აღმოჩენილან: ბერიევი (18 წ.), ალექსანდრე კალატოზიშვილი და ბაგრატ აგაჯანოვი, რომელნიც გამოტეხილან. მოპარულ ნივთების მყიდველს, სიღნაღის მოქალაქეს ბაგრატ სეძიონოვს აღმოსჩენია 15½ გირვანქა ვერცხლი, რომელიც უყიდნია 25 მანეთად.

◆ ტფილისში მაწანწალა ძაღლების დამჭერმა მოიჯარადრემ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ძაღლების ჭერას მარტიდან შეუდგება შემდეგ ნაწილებში. პოლიციის 1 ნაწილში—3 და 4 მარტს, მე-2—6 და 7, მე-3—10 და 11, მე-4—12 და მე-5 ნაწილში: 13 და 14 მარტს.

◆ 24 თებერვალს, სხდომა ჰქონდა ტეხნიკოსთა ურთი-ერთ დამხმარებელ საზოგადოების ახლად არჩეულ გამგეობის წევრებს ერთმანეთ შორის საქმეების გასანაწილებლად. გამგეობამ ხაზინადრად აირჩია ბ-ნი ყულიჯანოვი, სამეურნეო ნაწილის გამგედ—კაჩაროვსკი და საქმის მწარმოებლად—ნიკოლაევი და ვალი.

◆ სიღნაღის მაზრაში, „ზიარის ბოლოს" ადგილებში ჩხუბი მოსვლია სოფელ კაჰრეთის მცხოვრეს ნინია ბიწინაძეს სოფელ ჯიმითის მცხოვრებ მიტრო ბურდულაძესთან. ჩხუბის დროს ბიწინაძეს უძვია ხანჯალი და დაუკრია ბურდულაძე. ბიწინაძეც დაჭრილია.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქალაქის მამულების დამფასებელ კომისიას უკვე დაუმთავრებია პირველ ორ უბანში ქალაქის მამულების დაფასება; დარჩენილი დაუფასებელი მხოლოდ 100 მდე მამული [illegible] „გორაზე". ახალი დაფასების ძალით, ქალაქს შემოუვა ყოველ წლივ 10,000 მანეთით მეტი.

◆ 2 თებერვალს, ქ-ნ მაჰავარიანის თაოსნობით ქალაქის თეატრში გაიმართება რუსული წარმოდგენა რეალურ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეების სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქმნება კომედ. „Не Лги" ბ. ქორიძის მონაწილეობით.

რუსეთის ქრონიკა

◆ ამასწინად შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია საგლეხო დებულების გადასათვალიერებლად. კომისია მუშაობას მარტში შეუდგება.

◆ მთავრობამ დაამტკიცა ახლად დაარსებული ეგრედ წოდებული „რუსეთის კომიტეტი", რომელსაც აზრადა აქვს საშუალო და აღმოსავლეთ აზიის შესწავლა ისტორიულად, არქეოლოგიურად, ეტნოგრაფიულად და სხვა მხრივ. კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ამ მხარეში დარჩენილ ძველ ნაშთებს. აზიის სხვა-და-სხვა ადგილას კომიტეტს განყოფილებანიც ექმნება.

◆ გზათა სამინისტროში ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ რკინის გზების ადგილობრივ გამგეობებში თვითეულ ერობას თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს. იქ, სადაც ერობა არ არის, გამგეობაში დაჰნიშნავენ სოფლის მეურნეთა წარმომადგენლებს.

◆ ვილნის სამხედრო საკრებულოს დარბაზში, გაზეთების სიტყვით, ამ ნაირი განცხადებაა გამოკრული: „საკრებულოს უფროსის ბრძანებით, აფიცრები საკრებულოში ჯარის კაცებს „შენ"-ობით უნდა ელაპარაკნენ, იმ მოსამსახურეებს-კი, რომელნიც დაქირავებულნი არიან,—„თქვენ"-ობით".

◆ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს ერთი გაზეთი, რომელიც რუსეთში სადგურ კორსთვკის მახლობლად მომხდარა. სოფლიდან მარხილით ამ სადგურზე მოსანათლავად ბავშვი მიჰყავდა ორ ნათლიას, კაცს და ქალს. შებინდებისას მგზავრებს მგლები დასხვევიათ. კაცს, დაუნახავს რა, რომ თავის დაღწევა აღარ შეიძლება, ურჩევია ქალისთვის ბავშვი გადავგდოთ, რომ ვიდრე მგლები იმას მოუნდებოდნენ, თავი დავიძვრით და სახიფათო ადგილს გავცდებოდნენ. მაგრამ ქალი მაგრა დამდგარა, იმას არაფრის გულისთვის არ მოუსურვებია ბავშვის გადაგდება. მაშინ კაცს ხელი უკრავს და ქალი ბავშვიანად გადაუგდია. მაგრამ შემდეგი ამ საქციელისა მეტად უცნაური გამოდგა. ქალი ხრამში გადავარდნილა და, რადაც მანქანებით, მგლებს იმისთვის შარი არ უხლიათ და ისევ მარხილს დასდევნებიან, დასწევიან და კაცი ნაკუწ-ნაკუწად უქცევიათ. როდესაც მგლები დაფანტულან, ქალი წამომდგარა და მშვიდობით მისულა შინ.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

ქალაქის მოურავის არჩევნები იყო მიზეზი, რომ 24 თებერვლის კრებას თითქმის ყველა ხმოსანი დაესწრო. გარეშე ხალხიც ბევრი შეიკრიბა. ოქმების წაკითხვის შემდეგ კამათი გამოიწვია იმ ოქმმა, რომელიც შეეხებოდა ხარფუხის სკოლის დროებით დაკეტვის გამო ატეხილ დავას. კამათი უთუოდ დიდ ხანს გაგრძელდებოდა, რომ ხმოსანთა უმრავლესობას არ მოეთხოვნა კენჭის ყრა. საბჭომ, მცირეოდენის ცვლილებით, დაამტკიცა წინა სხდომების ოქმები. შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა ხმოსნებს დაესახელებინათ კანდიდატები მოურავის თანამდებობაზე. 48 ხმოსანმა დაასახელა თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, 18 ხმოსანმა—ა. ს. ბაბოვი, 2 ხმ.—ნ. ი. თამამშევი, 1 ხმ.—მ. ს. შესტაკოვი და 1 ხმ.—სოსინი. ყველამ უარი განაცხადა თავ. არღუთინსკის გარდა, რომელიც აარჩია საბჭომ 61 ხმით, 10 ხმის წინააღმდეგ.

ხორცის ნიხრის დამწესებელ კომისიას საჭიროდ დაუნახავს ნიხრისათვის (გირვანქა 10 კაპ.) 1 კაპეიკის მომატება. გამგეობას დაუმტკიცებია კომისიის დადგენილება. საბჭოში ამ საქმემ ჩვეულებრივ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ბევრი ხმოსანი თხოულობდა კომისიას ნამდვილად გაეგო, რა ჯდება გირვანქა ხორცი. კარგა ხანს ლაპარაკის შემდეგ საბჭომ მიიღო გამგეობის გადაწყვეტილება.

შემდეგ გამგეობის წევრმა კოჩაევმა წაიკითხა ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, საკრებულომ უკანონოდ სცნო საბჭოს გადაწყვეტილება სახელოსნო სასწავლებლის გამგე-კომიტეტის კანონიერ არსებობის შესახებ. გამგეობას თავის მხრით დაუდგენია, საკრებულოს აზრი განსაჩივრებულ იქნას უმართებულოს სენატში. თავ. ვ. მიქელაძემ სთქვა, ეს ისეთი საყურადღებო საქმეა, რომ უკეთესი იქნება დღეს არ განვიხილოთ, არამედ გადავდოთ სხვა დროისათვის და ვსთხოვოთ გამგეობას, მთელი მასალა ამ საქმის შესახებ დაბეჭდოს და ხმოსნებს გასაცნობლად დაურიგოსო. თავ. გ. მ.

თუმანოვი წინააღმდეგი იყო საქმის გადადებისა.

ხმ. ხუდადოვმა ურჩია საბჭოს, მიჰმართოს გუბერნატორს და სთხოვოს განმარტება გამგე-კომიტეტის წესდება ძალაშია თუ არა. თუ პასუხად მივიღებთ, რომ წესდება გაუქმებულია, მაშინ დავანებოთ თავი განსაჩივრებას და, საქალაქო დებულების თანახმად, ისეთი დაწესებულება შევქმნათ, რომელსაც მიენდოს სახელოსნო და საპროფესიონალო სასწავლებლების გამგეობაო. შესტაკოვმა სთქვა, გუბერნატორმა თავის მოწერილობაში უკვე აღნიშნა, რომ, ჩემის აზრით, წესდებამ უკვე დაჰკარგა ძალაო. საბჭომ ბოლოს დაადგინა ეს საკითხი არ გადასდოს, თავ. მიქელაძისა და ხმ. ევანგულოვის წინადადების თანახმად, და ამ სალამოსვე გაარჩიოს. საბჭომ ამასთანავე გადასწყვიტა განასაჩივროს საკრებულოს დადგენილება სენატში და საჩივრის შედგენა მიანდოს თავ. მიქელაძის დახმარებით იმ კომისიას, რომელსაც დაევალა კომიტეტის შესახებ საკრებულოს დადგენილების განსაჩივრება.

კამათი გამოიწვია აგრეთვე გამგეობის დადგენილებამ იმის შესახებ, როგორ შეასრულოს საკრებულოს გადაწყვეტილება და ვის ჩააბაროს სახელოსნო სასწავლებლისა და საპროფესიონალო ქალათა სკოლის მართვა-გამგეობის საქმე. გამგეობას ოთხნაირი საშუალება გამოუნახავს: დასახელებულ სასწავლებლის მართვა-გამგეობა შეიძლება ჩაჰბარდეს ერთს კაცს, ან განსაკუთრებულ კომისიას, ან თვით ქალაქის გამგეობას და ან ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას.

თავ. ვ. მიქელაძე წინააღმდეგი იყო, რომ საბჭომ ამ საგანზე რაიმე მსჯელობა იქონიოს. თავ. მიქელაძემ კარგა ხანს ილაპარაკა და, სხვათა შორის, სთქვა, საბჭომ თავისის წინანდელ გარდაწყვეტილებით აღნიშნა, რომ იმას კანონიერად მიაჩნია კომიტეტის არსებობა და საქალაქო საქმეთა საკრებულოს ამ საგნის შესახებ გარდაწყვეტილება კიდეც უნდა განვასაჩივროთ სენატში. ეხლა რომ დავადგინოთ, სასწავლებლის მართვა კომისიას ან კერძო კაცს მიენდოს, ამით უარს-ვყოფთ წინანდელს გარდაწყვეტილებას. თუ გამგეობას დღევანდელ მოხსენების გამო თავის აზრის გამოთქმა უნდა, ასე გარდავწყვიტოთ: საბჭომ, მოისმინა რა გამგეობის მოხსენება, მხედველობაში მიიღო იგი და დაავალა მას სახელოსნო სასწავლებლისა და პროფესიონალურ სკოლის საქმეების მართვა-გამგეობაო.

ზოგი ხმოსანი არ დაეთანხმა თავ. მიქელაძის აზრს. კამათი ძალიან გამწვავდა, მაგრამ საბჭო მაინც ვერავითარს გამორკვეულს აზრს ვერ დაადგა. თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა და ამ საქმის განხილვა დღეისთვის გადასდო.

წერილი რაჭიდან

ცრუ-მორწმუნეობა რაჭაში.—ამბროლაურის მოსამართლეთა უკულმართი სამართალი.—ყეენობა ჩვენში

აგერ მეოცე საუკუნის მესამე წელიწადში ვდგევართ და მაინც არა ეშველა-რა ჩვენის რაჭის განათლებას. ათასი ცრუ მორწმუნეობაა დღეს გავრცელებული ჩვენს ხალხს შორის. აი, მაგალითაც: ამას წინად სოფ. ღიხეთში ერთ გლეხს, გვარად ტორთმელაძეს, ხათვანგით დაეჭირა მგელი. მკვდარი მგელი დაუდო სოფლის სასამართლოს ქვედა სართულში, ასო-ასო აექნა და ისე გაეყიდნა. უკანა ტანში აიღო ფასი ხუთი მანეთი, ეებში 8 მანეთი, ერონტში 5 მ. და წელებშიაც 7 მან. ჩვენ გვიკვირს მხოლოდ, ზემო ნამოთვლილი ასოები რა ფასშიად გაჰყიდა გლეხმა, დანარჩენ ასოებშიაც უსახურად ფასს აიღებდა. ცრუ მორწმუნეთ სწამთ თურმე, ვისაც პირველი დასახელებული ასო ექნება ჯიბეში, იმისთანა ლამაზი არავინ გამოჩნდება შეკრებილებაში; ამისთანა ასოს უფრო ქალებისთვის ყიდულობენ. ეებში თუ კაცმა ბალახი გააძვრინა და წირიან პირუტყვს აჭამა, იგი უსათუოდ მორჩებაო. ერონტში გამძვრალი სიმინდის მარცვალი თუ ყაპოიან*) ღორმა შეჭამა, უსათუოდ მორჩებაო, ხოლო წელს ის თვისება ჰქონია, რომ თუ ფეხ-მძიმე ქალს გულზე ჰკიდია, ძეობისაგან მორჩენა არ გაუჭირდებაო. აი, ასე ძვირად ფასობს რაჭაში მგლის ხორცი!!

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ გლეხებს უფლება აქვთ ამოარჩიონ მამასახლისი, მსაჯულები და სოფლის სხვა მოსამსახურე-პირები, მაგრამ ამ უფლების ზოგჯერ გლეხები ბოროტად იყენებენ ხოლმე. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სოფლის მოხელეებს უფრო ინტერესით ირჩევენ, ვიდრე იმისი კაი კაცობით. ამას არ უმსახურნია დიდი ხანია სოფლისთვის, ამ ოჯახში ხუთი ძმაა, ამან-და-ამან რაღაც მაწყენინაო, წამოიძახებს რომელიმე გლეხი, იმას სხვანიც მიჰბაძვენ და ხშირად იმისთანას ამოირჩევენ სოფლის მოსამართლედ, რომელსაც ხუთი ბატი რომ მიაბარო, ვერ გაჰძღენის მინდორში. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ამას წინათ ამბროლაურის სასამართლოში მომხდარი ერთი ამბავი. სოფ. ხიმშს ერთ გლეხს, გვარად ბენდიანიშვილს, გაუცოფიანდა ძაღლი. ძაღლმა დაჰკბინა გლეხის მეტრეველის ხარები, რომელნიც მალე გაცოფიანდნენ და დაიხოცნენ. მეტრეველმა უჩივლა ბენდიანიშვილს ამბროლაურის სასოფლო სასამართლოში. მოსამართლეებმა სამართალი უკუღმა დაატრიალეს და მეტრეველს მიუსაჯეს ბენდიანიშვილისაგან 50 მ. ხარების ფასად.

უველიერის პარასკევს ჩვენში იციან ყეენის დასმა. ყეენად მორთავენ ვინმე ოხუნჯ გლეხს; იმას გაჰყვება ყმაწვილი ბიჭები სოფელში სიმღერით. ასე უვლიან ოჯახში სმენ ღვინოსა და მხიარულობენ, ყეენიც ასაჩუქრებს ყოველ ოჯახს უხვის მოწყალებით: ზოგს რას ჰპირდება და ზოგს რას. ყოველ ოჯახიდან მიაქვთ თითო დოქი ღვინო და სანოვაგე. საღამოზე მთელი სოფელი ერთად თავს ვახშმად რომელიმე გლეხისას და სმენ მოგროვებულ ღვინოს. ასეთი დღინი ხშირად თავ-შორის მტერობით თავდება ხოლმე. წელსაც ჩვეულებისამებრ დასვეს სოფ. წესში ყეენი—ერთ ერთ უბანში და მეორე მეორეში. ვახშმად დასხდნენ ერთად და, ძალზე დამთვრალნი, დაერივნენ ერთმანეთს. ერთ გლეხს იქვე სცემეს; მეორე გლეხი, მ. კოკობერიშვილი, ცოცხალ-მკვდარი თოვლში იპოვნეს გზის პირად. საბრალო გლეხს თავი ორ ადგილას აქვს გატეხილი და ტანი სულ დალურჯებული კეტის ცემისაგან; იმისი მორჩენა ძალიან საეჭვოდ სცნეს ექიმებმა., მესამე გლეხი, შელიაშვილი, წაქცეულიყო მთვრალი გზაში და ყელში სარი გასცმოდა. ასე დასრულდა ყეენობა ჩვენში.

განო ჭიჭინაძე

წერილი ბაქოდან

ფოსტა-ტელეგრაფის ახალ განყოფილებათა დაარსება.—დამხმარებელი კასსა ქართველ მუშათათვის

ამ მოკლე ხანში აქ, ნიკოლოოზის ქუჩასა და შემახინკაში, ფოსტის ორი განყოფილება გაიხსნება. ეს ადგილები ამას წინად დაათვალიერა ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა ბ-ნმა მუსელიუსმა. ძლიერ დიდი შეღავათი იქმნება ხალხისთვის ამ განყოფილებათა გახსნა. წინად რომ ამანათი გაეგზავნა კაცს, ორი-სამი ვერსი უნდა გაეარა, ხოლო ფოსტაში ცდა, ვინ იცის, რამდენ ხანს მოუხდებოდა და ისიც შესაძლებელი იყო ორ საათამდის ვერ მოესწრო უკან დაბრუნება.

ბალახანში 16 თებერვალს მოლაპარაკება ჰქონდათ ბალახნელ და ბაქოელ ქართველებს ქართველ მუშებისთვის დამხმარებელ კასსის და წიგნთ-საცავის დაარსების შესახებ. შეუდგნენ იმის გაგებას: რამდენი ქართველია ბალახანსა და ბაქოში. სტატისტიკურ ცნობების შეკრების შემდეგ უნდა შეიმუშავონ პროგრამმა და ითხოვონ ნებართვა. ამ დამხმარებელ კასსას აზრად აქვს გაჭირვებულ ქართველ მუშას აღმოუჩინოს შემწეობა და ადგილზე დააყენოს. კეთილი აზრია, თუ ლაპარაკი ლაპარაკად არ დარჩა.

ევგენი შომახია.

სასამართლო

მემამულის თავ. ვეზირიშვილის მოკვლა

1902 წ. ივლისში, გორის მაზრის მომრიგებელი შუამავალი თავ. სიმონ ვეზირიშვილი ს. ჩვარების მცხოვრებ მიხეილ კოზაშვილის სახლში მისულა, რომ აქედან თავის ხიზნებისათვის საიჯარო ფულის გადახდევინებას შესდგომოდა. 31 ივლისს თავ. ვეზირიშვილს წაუყვანია თავისი მოურავი მიხეილ ადუაშვილი და სახლის პატრონის შვილი ილიკო კოზაშვილი და ცხენებით წასულა ჩვარებიდან სოფელ ხოვლეში, რომელიც 40 ვერსტით ყოფილა დაშორებული პირველ სოფელზე. ხოვლეს მახლობლად ასე 6-7 ვერსის სიშორეზე, მგზავრებს უნდა გაევლოთ პატარა ტყე, საიდანაც ვიღაცას უსროლია თოფი თავ. ვეზირიშვილისათვის. ვეზირიშვილს ტყვია მოჰხვედრია ზურგში და გაუვლია გულ-მკერდსა და კუჭში. ვეზირიშვილი იქვე ჩამოვარდნილა ცხენიდან და გარდაცვლილა. მომაკვდავს მხოლოდ ამ სიტყვების თქმა-და მოუსწრია: „ვაიმე, მიხო, მიშველე! ოხ, საბრალო შვილებო"-ო. ილიკო კოზაშვილს ცხენი დაფრთხობია და გადმოვარდნილა, მაგრამ მალე წამომდგარა, შეუნიშნავს, რომ სამს ადგილას ბუჩქნარის შტოები შეინძრა და დაუნახავს კიდეც ზურგი ორ თუ სამ გაბრუნებულ კაცისა, რომელნიც ამ ჩირგვნარებიდან ტყეში გაქცეულან და გადამალულან.

გამოძიების პირველ დღიდანვე ამ მკვლელობაში ეჭვი აუღიათ სანდრო, მაქსიმე და გიგლა კოკიჩაშვილებზე, რომელნიც თავ. ვეზირიშვილის მამულში ხიზნებად იყვნენ. პირველს იჯარით ჰქონია 15 დესეტინა მიწა, მეორეს 20 და მესამეს 30. კოკიჩაშვილებს უსიამოვნება და დავა ჰქონიათ მომრიგებელ-შუამავალთან ადგილების გამო. ეს დავა მაშინაც იყო თურმე, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი ჰქონდათ მამული თავ. სიმონს და იმის ძმას გიორგის, რომელიც 1894 წლიდან 1901 წლამდე ამ მამულების საქმეებს განაგებდა თურმე. გლეხებსა და თავადს შორის უსიამოვნება იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ ვეზირიშვილებს და, განსაკუთრებით მოკლულ თ. სიმონს, მოუნდომებიათ მამულებზე საიჯარო ფულის მომატება. გლეხები ყოველნაირს საშუალებას ხმარობდნენ თურმე, რომ თავადებს მათთვის საიჯარო ფული არ მოემატებინათ. საქმე უფრო გამწვავდა 1902 წელს, როდესაც თავ. ს. ვეზირიშვილმა სასამართლოს წესით მოინდომა კოკიჩაშვილების გადასახლება. ვეზირიშვილს საქმე კიდეც მოუგია, 1902 წლის 16 მაისს გორის მომრიგებელ მოსამართლის გადაწყვეტილება აუღია და შესდგომია გლეხების გადასახლების საქმეს. ჯერ საქმის განხორციელება არ დაეწყო ვეზირიშვილს, რომ იმის მოურავს ადუაშვილს ჯიბრაილ კოკიჩაშვილი დაჰმუქრებია: „ნახავთ, ვერც შენ და ვერც ის (ე. ი. თავ. ს. ვეზირიშვილი) ცოცხალი ვერ გადარჩებით"-ო. ამ მუქარას ძალიან შეუფიქრიანებია თავ. ვეზირიშვილი და 1902 წელს აღნიშნულ სოფლებში ფულის მოკრეფის დროს ბოქაულ კოკოხიასათვის უთხოვნია, დარაჯი გაუყოლებინა. კოკოხიას აუსრულებია და ერთი შეიარაღებული დარაჯი გაუყოლებია. მოწმეთა ჩვენებით, ვეზირიშვილი ამ მუქარის შემდეგ იმდენად ფრთხილობდა, რომ შეიარაღებული მცველი მოუშორებლად უკან დასდევდა თურმე. მკვლელობის წინა დღეს თავ. ვეზირიშვილს საქმე სლობების მორიგებით გაეთავებინა, რისთვისაც მოუწვევია მაქსიმე კოკიჩაშვილი და უთქვამს, „შევრიგდეთ, თანახმა ხართ თუ არა საიჯარო ფულად 50 მან. მაძლიოთო". ამ ცდას ნაყოფი ვერ გამოუღია, რადგან მაქსიმე კოკიჩაშვილს გადაწყვეტილი უარი გამოუცხადებია: „ვერა, თავადო, 20 მან. მეტი ვერ შემიძლიანო".

ყველა ამის გამო ბოქაულ კოკოხიას დაუპატიმრებია ზემოდ აღნიშნულნი კოკიჩაშვილები და დაუჩხრეკია იმათი სახლებიც. ამ დროს შეუმჩნევია, რომ სანდრო კოკიჩაშვილს სახე გაფხაჭნილი ჰქონია. თუმცა გიგლა კოკიჩაშვილს თოფი ჰქონია, მაგრამ გაჩხრეკის დროს თოფი ვერ უნახავთ, მხოლოდ აღმოუჩენიათ პირ ჩამტვრეული ხანჯალი, რომელსაც ერთს პირზე მიკრობილი ჰქონია მუხის ტოტის ნაგლეჯი. გამოძიება ამ ნიშანზე შეჩერებულა, რადგან იმ ადგილას, სადაც მკვლელობა მოხდა, მუხის რამდენიმე ტოტი მოჭრილი იყო მახვილ იარაღით, რათა კარგად გაეკეთებინათ საფარი და არავის არ შეენიშნა განზრახვის აღსრულების დროს. ეს ხანჯალი თავისად იცნო კოკიჩაშვილმა. როცა ბოქაულს გიგლა კოკიჩაშვილისათვის უკითხავს, რა უყავი თოფიო, იმას ჯერ ვერაფერი უპასუხნია, შემდეგ უთქვამს, დავმალეო; მაგრამ რა მიზეზით დაემალა თოფი, ამაზე არაფერი არ უთქვამს ბრალდებულს. გიგლას ჩვენებით, თოფი ჰქონდა ბოსტანში დამალული. 2 აგვისტოს ჯიბრაილ კოკიჩაშვილს საიდუმლოდ უთქვამს, რომ თავ. ვეზირიშვილის მკვლელები გიგლა და სანდრო კოკიჩაშვილები არიან, რომ მოხუცი მაქსიმე კოკიჩაშვილი და იმის შვილი გიგლა ძალიან გაჯავრებულნი არიან საიჯარო ფულის მომატებით და თავადის ბრძანებით, რომ ადგილები დაეცალათ და სხვაგან წასულიყვნენ. გიგლამ გადასწყვიტა ვეზირიშვილის მოკვლა და ამისათვის დაიყოლია სანდრო, რომელმაც დასტყუა ჩემ შვილს მაქსოს თოფი სხვა საქმისათვის და მაგას კი კაცის მოკვლა ნდომებოდა. ეს თოფი რამდენისამე დღით დაუტოვებია იქ ვიღაც სარიბეგოვს. გიგლა და სანდრო ჩასაფრნენ თავ. სიმონ ვეზირიშვილს და მოჰკლეს იგიო. ჯიბრაილს უთქვამს კიდევ, მე ვეცდები შევიტყო სანდროსაგან, სად დამალა იმან სარიბეგოვის თოფიო. მართლაც იმავე დღეს ჯიბრაილს თოფი უნახავს ტყეში ხის ქვეშ. როგორც გამოძიებიდან სჩანს, ჯიბრაილ კოკიჩაშვილს 400 მან. ქრთამი შეუძლევია ბოქაულ კოკოხიასათვის და უთხოვნია, რაც შეიძლება გამოძიება ზერელედ მოეხდინა და დაჰკმაყოფილებულიყო იმის, რაც უთხრეს სანდროსა და გიგლას შესახებ. კოკოხიას განკებ თანხმობა გამოუცხადებია ქრთამის მიღებაზე და კიდეც უთქვამს მაქსიმესათვის, წასულიყო სახლში ფულის მოსატანად. ამასთან ეს ამბავი უცნობებია ბოქაულ კოკოხიას გორის მაზრის უფროსის ბ-ნ პავლოვისათვის და ცდილა, რომ ეს ფული მიეღო პავლოვისა და სხვათა თანადასწრებით. 4 აგვისტოს სანდრო, გიგლა და მამა მისი მაქსიმე, ჯიბრაილი და იმისი შვილი მაქსიმე პოლიციის განკარგულებით ჩაუყვანიათ გორის მაზრის უფროსის სამმართველოში. აქ ერთს ოთახში, იმ დროს, როდესაც მეორე ოთახიდან იმათ ყურს უგდებდნენ მაზრის უფროსი პავლოვი, მდივანი მაზრის სამმართველოსი შევცოვი, გორის ქალაქის ბოქაულის თანაშემწე, გარდოსანიძე და სხვანი, ჯიბრაილსა და მოხუც მაქსიმეს ბოქაულ კოკოხიასათვის გადაუციათ თითოს 130 მან. და უთქვამთ, ამ ფულს ჩვენის შვილების მაქსო და გიგლას მაგიერ გაძლევთო. სანდროს კი განუცხადებია, რომ ჩემ წილად ხვალ მოგიტანთ ფულსაო, რის თავდებადაც ჯიბრაილი და მოხუცი მაქსიმე გამხდარა. მაშინ ბოქაულს გაუღია ოთახის მეორე კარები და იქიდან გამოსულან მაზრის უფროსი და სხვანი. როდესაც ამ უეცარ შემთხვევით შემკრთალ ჯიბრაილს და მაქსიმეს ჰკითხეს, რად გადაიხადეთ ფულიო, იმათ ის და უთქვამთ, რომ თქვენც კარგად ჰხედავთ—რისთვისაცაო; შემდეგ კი დაუმატებიათ: დიდი ხანია ჩვენ, კოკიჩაშვილებს, მტრობა გვაქვს თავ. ვეზირიშვილთან. მტრობა გამწვავდა მაშინ, როცა თავადმა გადასახლება მოგვინდომა, რადგან მომატებულ იჯარის ფულის გადახდა ვერ შევძელით; მაშინ გადავსწყვიტეთ ვეზირიშვილის მოკვლა და ეს შეასრულეს გიგლამ და სანდრომაო. ამის შემდეგ სანდრომ განაცხადა, რომ „უგმეხობა გვიანდააო" და უთქვამს, მკვლელობა მე და გიგლამ ჩავიდინეთო. ჩვენ ჩავუსაფრდით სოფელ ხოვლესთან ტყეში თავ. ვეზირიშვილს და გამოვლის დროს ორივემ ვესროლეთ თოფები. გიგლამ ააცილა, მე კი მოვახვედრე, თავ. სიმონი ჩამოვარდა ცხენიდან და მოკვდაო. გიგლა კოკიჩაშვილმა შეამოწმა ეს ჩვენება და დაუმატა, ამ საქმის ჩადენა ჯიბრაილის ბრალია, რადგან ჯერ შეგვაჩინდა და მერე თავის შვილის მაქსიმეს დახმარებით თოფიც კი ითხოვა სარიბეგოვისაგან; ჩვენთან მაქსიმეც იყო ჩასაფრებულიო. როცა ვეზირიშვილი მოგვიახლოვდა, მაქსიმემ სთქვა, ცუდად ვისვრი თოფს და აგაცილებო, რის გამოც თოფი ჩამოართვა სანდრომ, ესროლა და გადმოაგდო ცხენიდან თავადიო.

ამის გამო მაქსიმე, გიგლა და სანდრო პასუხის-გებაში იქმნენ მიცემულნი, როგორც მკვლელნი, ხოლო მოხუცი მაქსიმე და ჯიბრაილი,—როგორც წამქეზებელნი და ხელმძღვანელნი.

დაპატიმრების შემდეგ სანდრო კოკიჩაშვილმა განაცხადა: მე განვიზრახე თავ. ვეზირიშვილის მოკვლა და შევასრულე კიდეც ეს განზრახვა. მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო გიგლა კოკიჩაშვილმა. ამისათვის ჩვენ არავის არ წაგვექეზებივართ და არავისაც მონაწილეობა არ მიუღია, მე და გიგლას მეტს. თუმცა გიგლამ განაცხადა, რომ მაქსო (პატარა) ჩვენთან იყო ჩასაფრებული, მაგრამ ეს ამბავი ტყუილია. თოფი მე გამოვართვი მაქსიმეს, რომელმაც არც კი იცოდა რისთვის წამოვიღე. ესევე განაცხადა გიგლა კოკიჩაშვილმაც. სხვათა შორის, გამოძიების დროს იმან სთქვა რომ ჩემი ნათქვამი—ვითომც მაქსიმესაც მონაწილეობა მიეღოს და ისიც ჩვენთან ჩასაფრებული ყოფილიყოს, სიმართლეს მოკლებულიაო. მაქსიმე კოკიჩაშვილს (პატარას) განუცხადებია, რომ მე საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და არც ვიცოდი დაჭერის დღემდე, რა ჩაიდინეს სანდრო და გიგლა კოკიჩაშვილებმა. თოფი სანდრო კოკიჩაშვილმა ითხოვა ჩემგან; თოფი, რომელიც დროებით სარიბეგოვმა დამიტოვა, სანდრომ იმიტომ წაიღო ჩემგან, რომ იმას ცხვრის ფარის მწყემსობის დროს თავი დაეფარა მგლებისა და ქურდებისაგანაო. ბრალდებულთ ჯიბრაილ და მოხუც მაქსიმე კოკიჩაშვილებს განუცხადებიათ, რომ იმათ არავითარი ხელმძღვანელობა არ გაუწევიათ გიგლასა და სანდროსათვის. სხვათა შორის, ჯიბრაილს უთქვამს, ვეზირიშვილის მოკვლა შემდეგ შევიტყე და იმავე დღეს ამ საქმის შესახებ ბოქაულს შევატყობინეო. 130 მან. იმიტომ მივეცი ბოქაულს სანდროს და გიგლას მაგიერ, რომ იმათ არ ჩავეტანეთ საქმეში და ბოქაულს საქმე სისწორით ეწარმოებინაო. დაახლოვებით მაქსიმე კოკიჩაშვილსაც ესევე განუცხადებია.

---

*) ყაპო ღორის ერთ ნაირი სატკივარია. ღორს ყელი ჩამოუსივდება და ჰკვდება.

გორში 24 თებერვალს ამ საქმის გარჩევას დიდძალი საზოგადოება მოაწყდა. საქმის გამოძიება ამ სასამართლოში გასტანა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე. შემდეგ სხდომა შეწყვეტილ იქმნა საღამოს 7 საათამდე. როგორც გამოძიების დროსაც, სასამართლოში ორი ბრალდებული გამოტყდა—ბიგლა და სანდრო გოგიჩაშვილები. განაცხადეს, ამ საქმეში ცოდვას ვერავის დავიდებთ, ჩვენს მეტს არავის არასოდეს ბრალი არა აქვს. ჩვენც სანანულში ვართ ამის ჩადენისათვის, მაგრამ სხვა გზა არა გვქონდათ. დანარჩენ ბრალდებულთ—ჯიბრაილ, მაქსო გიორგის ძე და მაქსო ჯიბრაილის ძე გოგიჩაშვილებს უთქვამთ, ჩვენ ამ საქმეში დამნაშავენი არა ვართ. სხვათა შორის, როდესაც შეეკითხნენ, ქრთამს 400 მან. რად აძლევდით ბოქაულსაო, იმათ განაცხადეს: ბოქაულმა გოგოხიამ მეტად შეგვავიწროვა. გვაშინა, გამოტყდით, მოწმეები მყვანან, რომელთაც უნახიხართ ჩასაფრებულ ადგილასაო. გვეგონა, მართლა ასეთის მოწმეთა ჩვენებით დაგვიღუპებოდით, ამიტომ მოვინდომეთ გოგოხიასათვის ქრთამის მიცემა, რომ საქმე სიმართლით ეწარმოებინა და ტყუილა უბრალოდ არ დავსჯილიყავითო. საღამოს, სასამართლოს სხდომის დაწყებისას, ილაპარაკეს ბრალმდებელმა და მომჩივნის ინტერესების დამცველმა ნაფ. ვექილმა თავ. მაჩაბელმა, რომელმაც ითხოვა დასჯა ბრალდებულთა და იმის მარწმუნებლის სასარგებლოდ 20,000 მან. გარდახდევინება.

სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა ღამის 11½ საათზე. დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი მხოლოდ ბიგლა მაქსიმეს ძე და სანდრო ზაქარიას ძე გოგიჩაშვილები; მიესაჯათ იმათ ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და თითოს 12 წლით კატორღაში გაგზავნა. ჯიბრაილ, მაქსიმე გიორგის ძე და მაქსიმე ჯიბრაილის ძე გოგიჩაშვილები უდანაშაულოდ იცნო სასამართლომ. სამოქალაქო მომჩივნის წარმომადგენელს 20,000 მან გარდახდევინებაზე უარი გამოუცხადა. ბრალმდებლის ამხანაგმა დაშა-დანილევსკიმ პროტესტი გამოაცხადა და საქმე პალატაში უნდა განასაჩივროს. იგი უდანაშაულოდ ცნობილ ბრალდებულთა დასჯას თხოულობს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 თებერვალი.

ბერლინი. გაზეთი „ზუდ დოიჩე კორესპონდენც“-ი იუწყება: ერთის რუსულ გაზეთის აზრი იმის შესახებ, ვითომ გერმანია და ინგლისი საიდუმლოდ შეთანხმდნენ, როგორ უნდა იმოქმედონ სპარსეთის ზღვაში—ბოდვა არისო. გერმანიამ სრულიად არა იცის-რა პორტას განზრახვებისა, ვითომც გერმანიასთან შეთანხმებით კუეიტის ბოლაზში სიმაგრეების აგებას უნდა შეუდგნენო. შეუძლებელია სტამბოლში დასთანხმდნენ იმდენი ხარჯის გამოღებას, რომელიც ამ სიმაგრეების აგებას დასჭირდებაო. რუსეთმა დანამდვილებით იცის ამ საქმეთა მდგომარეობის ვითარებაო.

ვენა. „კელნიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: მიტროვიცაში ავსტრიის საკონსულოს დაწესება იმავე განზრახვითაა შემოღებული, როგორც რუსეთის საკონსულოს დაარსება—უნდათ გააძლიერონ კონსულების მხრით რეფორმების შემოღებაზე თვალ-ყურის დევნა. ყოველს შემთხვევაში ამ საკონსულოს დაარსებაზე რუსეთმა თანხმობა გამოაცხადა.

ლოძი. ოლქის სასამართლო შეუდგა იმ საქმის გარჩევას, რომელიც „ნადეჟდა“-ს კომპანიამ დაიწყო ზოგ ადგილობრივ მრეწველთა და ამ კომპანიის წინანდელ მოსამსახურეთა წინააღმდეგ; ამათ ჰბრალდებათ ის დანაშაული, რომ ცეცხლის გაჩენის შემდეგ კვიტანციებს აძლევდნენ, ვითომ ამ კომპანიას ცეცხლის გაჩენამდე ჩააბარეს გასაგზავნად საქონელი. ასამდე მოწმეა დაბარებული.

მოსკოვი. აკურთხეს სამრეწველო სასწავლებელი, რომელიც დააარსა ქალაქმა იმპერატორის ალექსანდრე მე-II ოცდა-ხუთის წლის მეფობის სახსოვრად. ამის აგებაზე ქალაქმა დაჰხარჯა 900 ათასი მანეთი. პარაკლისის შემდეგ ხელმწიფე-იმპერატორისა და დედოფალთა სადღეგრძელო წარმოსთქვეს; ორკესტრმა და მომღერალთ სახალხო ჰიმნი შეასრულეს. ოთხასამდე მოსწავლე მიიღეს სასწავლებელში.

ათინა. ოსმალეთის ელჩი მინისტრ-პრეზიდენტთან იყო და განუცხადა: სულთანმა ბრძანება გამოსცა ხელი მოაწერეთ საბერძნეთ-ოსმალეთს შუა დადებულს იმ ხელშეკრულობას, რომლის ძალით ამ ორ სახელმწიფოს შუა ისეთივე განწყობილება უნდა დარჩეს, როგორიც ომიანობამდე იყოო. ელჩმა ისიც გამოუცხადა, რომ ათინას განსაკუთრებული ელჩები მოვლენ და მეფეს, მემკვიდრე პრინცსა და მინისტრ-პრეზიდენტს სულთანისაგან ნაბოძებ ორდენებს მიართმევენო.

ბუდაპეშტი. დამოუკიდებელთა დასმა სახალხო მიტინგი გამართა სამხედრო კანონპროექტის წინააღმდეგ; ქუჩა-ქუჩა დაიწყეს სიარული და ბევრგან შუშები ჩაამტვრიეს ფანჯრებში. საქმე იქამდე მივიდა, რომ პოლიცია შეეტაკნენ. დააპატიმრეს 60 კაცი და ხალხიც გაჰფანტა პოლიციამ. დასი დამარცხდა. მოქალაქენი მიტინგში მონაწილეობას არ იღებდნენ.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა სამხატვრო აკადემიაში გამართული გამოფენა დაათვალიერეს. დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა პატრიოტიული ინსტიტუტი დაათვალიერა.

კონსტანტინეპოლი. სულთანმა საბერძნეთის მეფეს უბოძა ორდენი იფტიხარი ბრილიანტებით.

კარაკასი. ორინოკოსა და ნავთ-სადგურებს გუანტასა და რაუპანოს ხელ-ახლა შეჰკრავენ.

25 თებერვალი.

კონსტანტინეპოლი. ავსტრო-რუსეთის მემორანდუმით უნდა ეპატიოს 600-დე პოლიტიკურ დამნაშავეს; ამათ რიცხვში რამდენიმე მღვდელია.

ბრიუსელი. შეიკრიბა საერთაშორისო სამშვიდობო ბიურო. დაესწრნენ სხვა-და სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელნი. ამათ ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ უკვე შეუდგნენ ჰაგის კონვენციის სისრულეში მოყვანას.

მოსკოვი. სოფლის მეურნეობის საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტმა სასურველად სცნო: დაარსდეს სასწავლო სახელოსნოები; წვრილ შინა-მრეწველთათვის მოეწყოს მცირე კრედიტი; მოეწყოს კრედიტი ერობათათვის შინა-მრეწველობის დასახმარებლად; მოეწყოს შინა-მრეწველობის ნაწარმოებთა გასაღება; მოეწყოს მწარმოებელი და მომხმარებელი არტელები. კომიტეტმა გამოსთქვა, რომ საგზაო საქმის მოუწყობლობას ცუდი გავლენა აქვს სასოფლო მეურნეობაზე; ამიტომ საჭიროა მალე გადათვალიერებულ იქმნას დებულება სასოფლო გზების ორგანიზაციების შესახებ; საჭიროა მთავრობამ ერთ დროულად გადასდოს დიდი ფული გზების გასაუმჯობესებლად; საჭიროა რკინის გზებმაც გადასდონ ამ საქმისათვის ფული; კომიტეტმა საჭიროდ სცნო აგრეთვე სასოფლო ფოსტის გაწესრიგება.

დალნი. დღეს დაიძრა ჩინეთის რკინის გზის საზოგადოების ორი გემი. ამ გემში ჩასხდნენ მგზავრნი, რომელნიც მოვიდნენ დღეს დილას შვიდ საათზე ჩინეთის რკინის გზის პირველ ექსპრესით. ეს გზა გაგრძელებაა ციმბირის რკინის გზისა, რომლის წყალობითაც პარიზიდან შანჰაისა და ნაგასაკამდე მოგზაურობა თვრამეტ დღე და ღამეში შეიძლება; შემდეგში ეს დრო უფრო შემცირდება. პირველ მატარებელს დიდძალი ხალხი დაჰხვდა.

ნეაპოლი. ვეზუვი ისვრის ფერფლსა და გახურებულ ნაცარ-ტუტას.

ვაშინგტონი. სენატის გარეშე საქმეთა კომისიამ მოიწონა პანამის არხის კანონი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესად ნება დართო, რომ გენერალ ადიუტანტ ვანოვსკის ეწოდოს ქალაქ კოსტრომის საპატიო მოქალაქობა ნიშნად მადლობისა საერო-განათლების მინისტრად ყოფნის დროს ნაყოფიერ მოღვაწეობისთვის.

ზაქათალის ოლქის უფროსი პოლკ. იაზიკოვი დაინიშნა, დაღესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწედ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

ზამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 0ს წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 სა 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის. № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12. 28 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 28 თებერვალს, შუა დღის 12 საათზე, მას თანადასწრებით მოჰხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით **ბეტონის წყლის მილის** გაკეთება, სიგრძით 80.00 საჟ., სიგანით 0.375×0.25, აწ არსებულიდან მიხეილის ქუჩაზე ფრიდონოვის სახლამდე, 1700 მან. ღირებულობისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებით პირობები შეუძლია განიხილოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ 3—3)

ფოთის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხუთშაბათს 27 მარტს 1903 წელს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია უკანასკნელი ზეპირი საჯარო ვაჭრობა (შეიძლება წერილობით განცხადებანიც) ქალაქის ოცდა სამ დაგეგმილ მიწის გასასყიდათ, რომლებიც მდებარეობენ სანავთსადგურო ქალაქის ფოთის დიდ კუნძულის ადესის ნაპირების გასწვრივ—№№ 1200, 1201, 1202 1203, 1204, 1205, 1206, 1207, 1208, 1209, 1210, 1211, 1212, 1213, 1214, 1215, 1216, 1217, 1218, 1219, 1220, 1221, და 1222 ზომით 349-იდან—414 ოთხ-კუთხიან საჟენამდე თითო. ეს მიწები გაიყიდება იმ პირობით, რომ მყიდველმა სამის წლის განმავლობაში ქვის სახლი ააშენოს ცეცხლის მხრივ უზრუნველ ყოფილ თავსახურავებით. თუ ეს პირობა მყიდველმა არ შეასრულა, მაშინ გამგეობა ჩამოართმევს ამ მიწებს და მყიდველები არა თუ მიწის პატრონობის უფლებას ჰკარგავენ, არამედ იმ ფულსაც, რომელიც მიწის ფასად მისცა გამგეობას. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ფულით წინად,—ოცი პროცენტი მიწის ღირებულობისა. დანარჩენი უნდა შეტანილ იქმნას ერთის თვის განმავლობაში საჯარო ვაჭრობის შემდეგ. როცა მყიდველი მთლად ჩააბარებს მიწის სალირალს ფულს, გამგეობა აძლევს დროებით მოწმობას ამ მიწაზედ შენობის აგების ნების მიცემის შესახებ; როდესაც მყიდველი შენობას ააგებს, მაშინ გამგეობა მისცემს ნასყიდობის ქაღალდს. საჯარო ვაჭრობა დაიწყება 2 მანეთიდან ოთხ საჟენზე (3—ნ—2)

ტეხნიკოსი

ზიგო თოიძე

იღებს **შენობების** გეგმათა შედგენას და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის გამოანგარიშებას ყველასათვის ხელ-მისაწდომ პირობით. ტფილისი, ჩუღურეთი, გონჩაროვის ქუჩა 28. (10—ნ—1)

ხონის საურთ. ერთო. კრედიტის საზოგადოების ანგარიშის მდგომარეობა
პირველ თებერვლამდე 1903 წლისა.

აქტივი.

		მანეთი.	კაპ.
I. კასსა		4648	26
II. განაღდებული ვექსილები		71650	—
III. სესხი	სარგებლიანი ქაღალდების გირაოთი	7450	—
	ძვირფასი ნივთების გირაოთი	80	—
IV. კორრესპონდენტები	ჩვენის ანგარიშით	2661	54
	მათის ანგარიშით	4744	31
V. ხარჯები	მიმდინარე	360	12
	დასაბრუნებელი	89	50
VI. მოწყობა		1099	20
ბალანსი		92782	93

ვალდებულება 233 წევრისა . . . 216.700
საკომისიო ვექსილები. . . . . 7312—92
საზოგადოება აძლევს მობარებულ ფულში მიმდინარე ანგარიშით 3%
6 თვით 6%
12 თვით. 7%
2 წლით. 8%

პასსივი.

		მანეთი.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შესდგა საწევრო შემოტანილი ფულისაგან		21670	—
II სათადარიგო თანხა		194	82
III. საქველმოქმედო თანხა		20	90
IV. ხონში სახელოსნო სწავლის გასავრცელებელი თანხა		185	92
V. მობარებული ფული	ვადით	30966	—
	უვადოთ	16342	40
VI. სპეციალური მიმდინარე ანგარიში ტფილისის კომერციულ ბანკში		93	35
VII კორრესპონდენტები	ჩვენის ანგარიშით	7820	—
	მათის ანგარიშით	4237	75
VIII. გასაგზავნად შემოსული ფული		2900	—
IX. გაუტანელი მოგება წარსულ წლებისა		89	75
X. გადასატანი თანხა		1102	75
XI. მობარებულ ფულის სარგებელი		1294	18
XII 5% სახაზინო გადასახადი.		169	48
XIII. შემოსული სარგებელი.		2683	9
ბალანსი		92782	93

საზოგადოება ახდევინებს:

ვექსილების განაღდებაში . . . . 12%.
გირაოში { სარგებლიანი ქაღალდებისა. 10%.
გირაოში { საქონლისა . . . . . 12%.

(ნ. 2—1)

Дозв. ценз. Тифлисъ, 25 Февраля, 1903 г. [illegible] ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)